№ 199. 24 სეკდემბერი, ხუთშაბათი. 1866—1881 24 სეკდემბერი, ხუთშაბათი. № 199.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებისა-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: В Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო თავკრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია ასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**ბბ. მომხმარებელთ ჩვენი ფირმის ჩაისა** უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე ასოთ პ. ძ ს.

ძმანი პ. ძ ს. პაპოვები,
სავაჭრო სახლი მოსკოვში.

(20—1)

## ტელეგრამმები

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 22 ენკენისთ., „მმართებლობის მოამბე“ ამტყუვნებს გაზ. „პორიადოკისაგან“ მოყვანილ ცნობას შესახებ პეტერბურღის ობერ-პოლიციმეისტრის კოზლოვის სხვა ადგილზე გადაყვანისა. „რუსის ინვალიდი“ იწერება, რომ სამხედრო სამინისტროში არ არის განზრახვა რომ აფიცრების მაზარები მოისპოს. „პორიადოკში“ სწერია, რომ გუშინ იყოვო პირველი სხდომა კამისიისა, რომელიც იხილავს მაგარი სასმელებისათვის გამოცემულ წესებს. სათამბაქო კამისიამ არ მიიღო წინადადება შესახებ გარდასახადის დადგენისა თამბაქოს პლანტაციებზედ.

**პეტერბურღის ბირჟა, 22 სეკტემბ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96—57 |
| მეორესი — — — — | 93—62 |
| მესამესი — — — — | 94—25 |
| მეოთხესი — — — | 93—62½ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 91—12½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 91—25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91—25 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7—64 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 226 — | „ |
| მეორე სესხის — — | 220 — | 5 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 25—94 | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 221—62 | ცენტი |
| პარიჟი — — | 274—75 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | — — | |

## არხეოლოგიურ კრებაზე

მეც, სხვათა შორის, როგორც წევრი არხეოლოგიურ საზოგადოებისა, დავდიოდი მის სხდომებზე მოსასმენად მსწავლულთა რეფერატებისა. ერთ საღამოს, დ. პ. ფურცელაძის ქართულ ანბანის შესახებ ბაასის შემდეგ, შევედი საკითხავ ოთახში და გაზეთის კითხვა დავიწყე. ჩემ პირ-და-პირ იჯდა ერთი პატიოსანი მღვდელთაგანი და რაღაცას შინჯავდა. ამ მღვდელთან მოვიდა ერთი მწავლულთაგანი (რუსი) და თავაზიანათ ჰკითხა:

— მამაო, ნება მომეცით გკითხოთ: თქვენ ქართველი ბრძანდებით, თუ რუსი?

— ქართველი გახლავარ.

— მაშ არ შეიძლება გვითხრათ: რა განსხვავებაა ქართველთა და რუსთა ეკკლესიებს შუა?

— განსხვავება სრულიად არაფერშია. ჩვენებურ ეკკლესიებში რო შებრძანდეთ, იმავე წესებს ნახავთ, როგორც რუსის ეკკლესიაში.

— რუსის წმინდანები მიღებულია თქვენი ეკკლესიისგან?

— არა. ჩვენ ჩვენი წმინდანები გვყვანან და ბერძნების წმინდანებსაც ვაღვიარებთ.

— თქვენ ქართველები სუყველანი ქრისტიანები ხართ, თუ სხვა რჯულისანიც, ერეტიკებიც (раскольники)?

— 323 წელს წმ. ნინომ გაანათლა ჩვენი ხალხი. მის შემდეგ ჩვენ ხალხში არ გაჩენილა ის, რასაც თქვენ ეძახით „სეკტანტობას,“ „რასკოლს“ (განდგომილობა). მხოლოდ 1552 წელს, ოსმალეთმა რომ დაიპყრო გურიის ერთი ნაწილი, რომელსაც ამ ბოლო დრომდე უწოდებდენ „ოსმალოს საქართველოს“ (ეხლა ბათუმის მაზრას) იქ მცხოვრები ხალხი ძალათ გაამაჰმადიანეს, თუმცა ამ გამაჰმადიანებამაც დიდხანს ფეხი ვერ მოიდგა იმათში; ეხლაც იქაური ხილხი თუმცა მაჰმადიანია, მაგრამ ქრისტიანული წესები ბევრი კიდევ იცის.

— მითხარით, მამაო, თქვენ ხალხს, რომელიც რიცხვით მილიო ნახევრამდე (1,500,000) აღის, რამდენი სასულიერო სემინარია აქვთ და ან სასულიერო აკადებია?

მღვდელმა მწარეთ გაიღიმა და მძიმეს ხმით უთხრა:

— სამწუხაროთ, ჩემო ბატონო, არც-ერთი აკადემია. აკადემიას ვინ ჩივის, თუ ხეირიანი სემინარიები მაინც გვქონდეს. ჩვენ ამ ჟამად გვაქვს ერთი, მხოლო ერთი სასულიერო სემინარია, რომელშიაც ყოველ წელიწადს ასრულებს კურს არა უმეტეს 10-12 შაგირდისა; ამათგან ორიოდე სტუდენტათ მიდის, სხვები მეორე და მესამე „რაზრიადში.“ ეს სემინარია სრულიად ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ხალხის მოთხოვნილებას, როგორც კურს-შესრულებულების სიმცირით, ისეც მათი სისუსტით.

— სემინარიაში რუსულ ენაზედ ასწავლიან ქადაგებების თქმას, თუ მარტო ქართულად ამბობენ?

— ბატონო, განა ქართულად ქადაგების თქმას ასწავლიან! არა თუ ასწავლიან, არამედ ქართულად ლაპარაკსაც კი უშლიან! ქართულ წმინდანების ცხოვრებას არ ასწავლიან, ქართული საეკკლესიო ისტორია მივიწყებაშია, ქართული ენის მასწავლებელი შტატს გარეთ არის დარჩომილი. ქართული ენის გაკვეთილები, ესე იგი სამღვთო წიგნების საკითხავი, მთელს სემინარიაში კვირაში, თუ არა ვცდები, ოთხია. ჩვენ სემინარიაში, ქართული ენის მასწავლებლის გარდა, ყველანი რუსები არიან. ეხლა არც ერთ ქართველს არ ნიშნავენ ამ სემინარიაში მასწავლებლად.

— როგორ! განა მასწავლებლები

---

**«დროების» ფელტონი, 24 სეკტემბ.**

### თეატრის შესახებ.

დიდი ხანია, რაც მქონდა სურვილი მომელაპარაკნა თეატრის, აქტიორების და ამათ რეცენზენტების შესახებ. მე არ მინდოდა და არც მინდა რომელიმე რეცენზენტი ამოვიღო ნიშანში, თუმცა გაკვრით შეხების ნებას კი ვითხოვდი და, განსაკუთრებით იმაზედ დავიწყო ლაპარაკი, რადგანაც რეცენზენტი, ნამდვილის ამ სიტყვის მნიშვნელობით, არა გვყავს, ამ მიზეზით არც ღირს იმათზედ ლაპარაკი.

თუ საჭიროებათ დავინახე ხმის ამოღება, ამის მიზეზი აი რა გახლავთ.

ამ უკანასკნელს დროში მეტათ აცნა წაიგძელეს სხვა-და-სხვა ახალ-ახალმა რეცენზენტებმა და, არ ეიცით ვის სასარგებლოდ, ყოველი ღონისძიებითა ცდილობენ, პერიოდულის ლანძღვით გული გაუგრილონ ქართველ საზოგადოებას ჩვენს თეატრზედ. იქნება იმათ არც კი ესმოდეს თავიანთი მოქმედება და ისე, მხოლოთ ლაპარაკის გულისათვის, ლაპარაკობდნენ იმას, რისიც თქმა არ უნდოდათ. ასეა თუ ისე, ეს ბატონები მაინცა როშამენ მოშლილს წისქვილსავით. თუმცა მომეტებულს წილს საზოგადოებაზედ, მეტი გავლენა არა აქვსთ, მაგრამ ისეთი პირებიც არიან საზოგადოებაში, რომლებიც ბრმათ ემონებიან ყოველ დაბეჭდილს სიტყვას.

თეატრს, როგორც საზოგადოთ ყოველ ქართულს საქმეს, თავისი მტრები ჰყავს, და აი ეს მტრები სარგებლობენ იმ მოუაზრებელი რეცენზენტების სიტყვებით, წამოავლებენ ხელს, მაგალითად ბატ. „ქართული სცენის მოყვარის“ წერილის მზგავს სტატიებს დაათრევენ იმათ როგორც კატა თავის კნუტებს, და ყოველის ღონისძიებითა ცდილობენ გაავრცელონ საზოგადოებაში აზრი, როგორც ქართულის თეატრის ისე ქართულის ენის და საქმის შეუძლებლობაზედ.

თუ თქვენ ეცადეთ ამ გვარი ხალხის გულმოცადინეობის შეყენება, ისინი ღიმილით გიპასუხებენ.

— აი ბატონო, თითონვე სწერენ.

და იმას კი აღარ უყურებენ, რომ საქართველოში მარტო ერთი გაზეთი იყო დღემდის და ამის მიზეზით რედაქცია ვერ დაბეჭდავდა მარტო ერთი მიმართულების სტატიებს; ნებითა თუ უნებურათ, ადგილი უნდა მიეცა სხვა-და-სხვა მომხრეებისათვის.

ეს გახლავსთ მიზეზი, რომ ერთხელ და სამუდამოთ პასუხს ვაძლევთ ბატ. „ქართული სცენის მოყვარეს“, როგორც „თეატრის შესახებ“ სტატიის ავტორი თავის-თავს უწოდებს და დანარჩენს იმის მსგავს რეცენზეტებს.

ბატ. „ქართული თეატრის მოყვარე“ ბრძანებს, რომ ის „1879 წ. ამბობდა, რომ ჩვენი აქტიორები თამაშობენ და არ იციან რას თამაშობენ; პიესას არ იცნობენ, მისი შინაარსი ვერ გაუგიათ, და, რასაკვირველია, ეს ყველა გონების გაუხსნელობით მოსდისთ“....

რასაკვირველია, მომეტებული წილი ჩვენი აქტიორ-აქტრისებისა არ არიან უმაღლესის სწავლით, დიდი ნაკითხნი, მაგრამ საიმისოთ კი არიან, გონება-გახსნილნი, რომ როლის, ანუ პიესის შინაარსის ასახსნელათ ბატ. „ქართული თეატრის მოყვარეს“ არ მიმართონ, იმის შეუწევნელათ რიგიანათ წარმოადგინონ და ხანდისხან ჩვენი საზოგადოება აღტაცებაშიაც კი მოიყვანონ. იმათი თამაში განსაცვიფრებლათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ისინი არ მოუმზადებიათ თეატრისთვის და რაც ქართული წარმოდგენები დაიწყო, არც ისეთი რეჟისორი შეხვედრიათ, რომელსაც სცენა სცოდნოდეს და თამაშის გასწორება შესძლებოდეს. ერთი ეს მიბრძანოს, „ქართული თეატრის მოყვარემ“. და იმის თანამგრძნობელებმა, აგრე ბევრს რომ ითხოვს ჩვენი მოთამაშეებისაგან, რა დაუხარჯავს საზოგა-

ქართულ სემინარიაში რუსები არიან? როგორ ასწავლიან ისინი?

— Დიახ, რუსები არიან და რუსულად ასწავლიან.

— რუსულადო!! მიკვირს...

— რექტორი მაინც ქართველი იქნება?

— რუსია.

მსწავლულმა თავის ქნევა დაიწყო და პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კიდევ განაგრძო:

— საქართველოს ეკკლესიას ვინ განაგებს?

— Ექსარხოსი Იოანნიკე.

— რუსია?

— Დიახ.

— რატო ქართველს არ ირჩევთ?

— Ბატონო ჩვენ ვინ გვეკითხება! Არქიელის ამორჩევა კი არა, ნეტავი არ ჩამოერთმიათ ჩვენთვის ის მცირეოდენი უფლება, რომლებიც მონიჭებული გვქონდა წლევანდლამდე. Წლეულს ჩვენ, საქართველოს არქიელის სურვილისამებრ, ჩამოგვართვეს სასულიერო სასწავლებლების და ბლაღოჩინების ამორჩევის უფლება. Ამიერიდგან ზედამხედველებს და ბლაღოჩინებს ირჩევს თვით არქიელი. Წინეთ, საქართველოს სამეფოს დროს, ჩვენი ეკკლესიის თავად-კათალიკოსად მეფისაგან მტკიცდებოდა ისეთი კაცი, რომელიც ცნობილი იყო თავის მაგარ ხასიათით, სწავლა-განათლებით, სიბრძნით. საქართველოს ეკკლესიას ჰყოლია არა ერთი ფილოსოფიურად განათლებული, ზნეობით ამაღლებული წინამძღვარი, არამედ მრავალი. Მას შემდეგ, რაც საქართველო შეიქმნა რუსთა ხელმწიფის მფარველობის ქვეშ, ჩვენი ეკკლესიის მთავარი ინიშნება რუსეთის იმპერატორისაგან.

— სიონის ეკკლესიაში წირვა რუსულს ენაზედაც არის ხოლმე?

— Თქვენ სჯობს მკითხოთ: „ქართულს ენაზედაც იწირვებაო?“ Თორემ რუსულ ენაზედ სულ მუდამ იწირება.

— სიონში, რომელიც არის დედა თქვენის ეკკლესიებისა, თუ ქართულად არ იწირება, მაშ სადღა იწირება ქართულად? Ზანა სიონში ქართველები არ დაიარებიან?

— როგორ არა, თითქმის ყველანი ქართველები არიან მლოცველთაგანი.

Კიდევ სიჩუმე და თავის ქნევა.

— Თქვენი ეპისკოპოსები სწავლულები არიან თუ არა?

— Იმერეთის ეპისკოპოსი მაგისტრია პეტერბურღის აკადემიისა. Მიკარნი საქართველოისა ეპისკოპოსი Ალექსანდრე მოსკოვის Აკადემიის კანდიდატი, ხოლო ერთიც შინაურად ნასწავლი.

— Უუწმინდეს სინოდში თქვენს ეკკლესიას არა ჰყავს წარმომადგენელი?

— ჩვენი ეკკლესიის წარმომადგენელი და წევრი სინოდისა არის საქართველოს ექსარხოსი, რომელიც არის თავმჯდომარე სინოდის კანტორისა Თბილისში.

Კიდევ რაღაცები უნდა ეკითხნა ამ პატიოსან პირს, მაგრამ ზარის რაწკუნმა აღარ მოგვაცდევინა: ჩვენ ხელახლა შევედით დიდს ზალაში, სადაც რეფერატების კითხვა დაიწყეს.

ჩვენ ისე ვართ შეჩვეულები უსწორ-მასწორობას, მოუსაზრებელს მოვლინებებს, რომ ხსენებული სწავლულის კითხვები ერთის შეხედვით ყმაწვილურ ლაპარაკს მოგვაგონებს. Პეტერბურღში მჯდომს მეცნიერსა, რომელიც ყველაფერს უყურებს მიუდგომელის თვალით, სალის გონებით, რომელიც დარწმუნებულია, რომ ბუნებაში ყოველიფერი დამყარებულია კანონებზე და ამ კანონების გარეთ მისი ცხოვრება შეუძლებელია, ვერ წარმოუდგენია, რომ. . . . . . . . . . .

ფისტონი.

## ახალი ამბები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი Დვორჟიცკი და კამპ., რომელთანაც ქალაქმა შეჰკრა პირობა ცხენის რკინის გზის გაყვანაზე, რკინის გზის სტანციიდამ ქალაქის სხვა-და-სხვა ქუჩებში, რომ ეს Დვორჟიცკი ამ დღეებში ათავებს პლანებს და ყველა სხვა მომზადებას და შეუდგება თვითონ ზემოხსენებულის გზის გაყვანასა. Ასე რომ გვარწმუნებენ, მომავალ გაზაფხულისათვის ქალაქს ცხენის რკინის გზა ექნება გამართული.

* *
*

Ზავლილ კვირას, 20 ენკენისთვეს Თბილისის კლუბის ზალაში იყო კრება ახლად დაარსებულის Თბილისის საქალაქო კრედიტის ბანკის“ წევრთა. Ამ კრებას უნდა აერჩია ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კამიტეტი. Კრების თავმჯდომარედ ამ სხდომაზედ არჩეულ იქმნა ბატ. Ა. Ს. Ურლანოვი.

Ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ხმის უმეტესობით (88 თეთრი კენჭი 121 ხმაში) ამოირჩიეს თ. Ნ. Ი. Ამატუნი; დირექტორებად: Გ. Ბ. Ტერ-Ასატუროვი და Ნ. მირზოევი; ხაზინადრად — Არვანოვი. Ზედამხედველ კამიტეტის არჩევა შემდეგ კრებისათვის გადადვეს.

* *
*

Იმ შაბათს გამოჩენილი Ბერლინის პროფესორი რუდოლფ Ვირხოვი დაესწრო Კავკასიის მედიკურ საზოგადოების სხდომაზე. ჩვენებური ექიმები დიდის ამბით მიეგებნენ და დაუხვდნენ ამ შესანიშნავ მეცნიერსა და ერთმა ამათგანმა ბატ. Დანიელ Ბეგოვმა წარმოსთქვა შესხმა ბატ. Ვირხოვსადმი, რომელშიაც სწორეთ აღმოსავლეთის ენითა და კილოთი მოიხსენა იმის მოღვაწეობა და შრომა მედიცინისა და საზოგადოთ ბუნების მეცნიერების წარმატებისათვის. Შენ მოკიანთე, ბრწყინვალე, გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი ხარო! ჩვენ შენს შუქზე, შენს კვალზე მოვდივართ, შენგან მოველით გზის ჩვენებას, შენგან გვისწავლია და ეხლაც შენგან ვსწავლობთ მკურნალობასაო და სხვ.

Ორშაბათს Თფილისის ექიმებმა ბატ. Ვირხოვს გაუმართეს სადილი Თბილისის კლუბის საზაფხულო სადგომში; ამ სადილზე ორასზე მეტი ექიმები და სხვა მოწვეული პირნი დაესწრნენ. Ბევრი სიტყვები წარმოითქვა, მომეტებული ნაწილი ნემეცურს ენაზე და თითქმის სულ Ვირხოვის საქებ-სადიდებელი.

* *
*

Ას თვის 10-ს ქ. Შუშაში გაიხსნა, ქალაქის წარმომადგენლების თანადასწრებით, რეალური სასწავლებელი.

* *
*

სოფ. Ალიდამ (ქართლშია) გვწერენ, რომ ამ თვის 17-ს აქ სოფლის მოხელეების ამორჩევა იყოვო და ამ ოთხის წლის წინათ ნადგომმა მამასახლისმა ბატ. Უ—ოვმა, რომელიც ახლა Ამირაჯიბების მოურავია, იმდენი ეშმაკობა და ვაიძვერაობა იხმარაო, რომ ძალა-უნებურად ამოარჩევია სოფელს მამასახლისად თავიო.

## წერილი რედაქტორთან.

Ბ. რედაქტორო! Თქვენი გაზეთის მე-193 №-ში იყო დაბეჭდილი შენიშვნა ჩემ მოქმედებაზედ აფთიაქში. Მე, როგორც უცოდინარი ქართული ენისა, გთხოვთ გადამითარგმნოთ ეს ჩემი პასუხი და დამიბეჭდოთ თქვენს

---

დოებას იმათ მოსამზადებლათ, ან რა სასყიდელს აძლევენ იმათ შრომისთვის, რომ ნება ჰქონდესთ ეგრე მკაცრათ მოექცენ, და მოჰკითხონ?! Სხვა ქვეყნებში მილიონებით იხარჯება თეატრის საქმეზედ, აქტიორაქტრისების მომზადებაზედ და ამ მომზადების შემდეგ ათას თუმნობით ეძლევათ იმათ შრომისათვის და მაშინაც ვერ გაუბედნიათ ეგრე მკაცრათ მოქცევა, ეგრე მკაცრათ განკიცხვა!

Ვერ გაუგიათ, რომ ჩვენს აქტიორებს, სასყიდლისათვის-კი არ მიუღიათ თავიანთ თავზედ თეატრის საქმე, არამედ ემსახურებიან იმას იმიტომ, რომ მართალი უყვართ თეატრი, იმიტომ რომ თეატრზედა აქვსთ იმედი, რომელიც ყველაზედ უკეთ თანაშემწეობს დედა-ენის აღდგენას. Თუ ეს ამაღლებული აზრები არ აკმაყოფილებდეს ჩვენს აქტიორებს, მაშინ, ექვს თუმნათ თვეში, რომელი სულელი დაადგებოდა იმისთანა ძნელს და მოსაწყენს საქმეს, როგორც როლების ზეპირება?

რომ ეს საკმაოთ ძნელია შეგიძლიანთ იქიდან დარწმუნდეთ, რომ მთელს ქვეყანაზედ გამოჩენილი აქტრისა, სარა ბერნარი, საფრანგეთიდგან გაიქცა და აღარ ითამაშა მხოლოთ იმისოვის, რომ ოც-დათექვსმეტი რეპეტიციის მაგივრათ, მარტო თექვსმეტი რეპეტიცია მომცესო!

Ახლა თქვენა გკითხავთ, თუ იმისთანა გამოჩენილს აქტრისას, როგორც სარა ბერნარა, არ ჰყოფნის პიესის მოსამზადებლათ 16 რეპეტიცია, მაშინ რათ უკვირსთ, როდესაც ჩვენი აქტიორები ბევრჯელ თითო რეპეტიციის შემდეგ გამოდიან და როლები კარგათ არ იციან?

Აქ, რასაკვირველია, შეუძლიანთ გვითხრან, რომ მოუმზადებელი რათ გამოდიანო; მაგრამ ამისთანა კითხვა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც ჩვენი თეატრის საქმე არ იცის.

ჩვენი აქტიორები მეტათ ცოტანი არიან, რომ მონაწილეობა არ მიიღონ ყოველ წარმოდგენაზედ და მაშასადამე მოსამზადებელათ ძალიან ცოტა ხანი უნდა რჩებოდეს.

Ამასთან ისიც უნდა მიიღოს მხედველობაში საზოგადოებამ; რომ სხვა ქვეყნის აქტიორები მოამზადებენ ერთს პიესას საფუძვლიანათ და ამის შემდეგ იმასა თამაშობენ რამდენიმე ხანი ზედი-ზედ. Ამ ხანში ამ პიესის რეპეტიცია და მზადება აღარ სჭირდებათ და დრო რჩებათ სხვა ახალი პიესის მოსამზადებლათ. ჩვენი ტრუპა-კი მოკლებულია ამ საშვალებას პირველი იმ მიზეზით, რომ მოთეატრე საზოგადოება მეტათ ცოტაა, წარმოდგენებზედ არ იცვლება და რამდენჯერმე ერთისა და იგივე წარმოდგენის ნახვა ერთისა და იგივე პირისაგან, და ამასთან ზედი-ზედაც მეტის-მეტად მოსაწყენია. Მეორე მიზეზიც ისა, რომ აქამდისინ თეატრის მმართველები, მოთავეები, არ ვიცი რა საბუთით, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საზოგადოების მოთხოვნილება მარტო მასხარული პიესები არის და რიგიანს პიესებს-კი ვითომც არავითარი თანაგრძნობა არ ექნებოდათ. Ამისათვისაც აძლევდნენ, თავის თავათ როდესღაც ჩინებულს და ეხლა განსვენებულს მოლიერის პიესებს(?), ზოგიერთს Ანტონოვისა და Ერისთავის პიესებს, მომეტებული წილი რომლებისაც აშენებული არის სომხებისა და იმერლებისაგან ქართული ენის დამახინჯებაზედ. Მომეტებული წილი, თითონ ეხლანდელი მწერლებისაც-კი იმის მოცადინენი არიან, რომ სცენის ეფექტი მოახდინონ ზურნით, კინტოების ქეიფით, კინტოურის თამაშობით და სომხისაგან დამახინჯებული ქართულის სიტყვებით.

Რასაკვირველია, რომ ამ გვარს პიესებს ვერც თითონ აქტიორი მოეკიდება გულ-მხურვალედ და არც საზოგადოებაზედ ექნება მიმზიდველი გავლენა.

Ამისათვისაც ხდებოდა იმისთანა საქმეები, რომ ყოველთვის „სერიოზული“, მოაზრებული პიესები, უკეთ იყო მომზადებული, ნათამაშევი ჩვენის აქტიორებისაგან და საზოგადოებისაგან მიღებული მომეტებულის თანაგრძნობით. Ამისთანა პიესები

გაზეთში: იმედი მაქვს, რომ უარს არ მივიღებ, მით უმეტეს რომ ეს პირ-და-პირ თქვენს მოვალეობასაც შეადგენს. ხსენებულ შენიშვნის კორრესპონდენტი ამბობს, ვითომ მე ფერშლებთან პირობა მქონდეს შეკრული, მეტ ფასს ვიღებდე წამლებში და ამ ფასიდამ ნახევარს იმათ ვუზიარებდე. რამდენათაც მართალია ეს საქმიდამაც სჩანს, რადგანაც, უმეტეს შემთხვევაში, ფერშლების რეცეპტებით მე წამლებს არ ვაძლევ, რასაც თვით კანონი მეუბნება და ამის დასამტკიცებლათ რამდენიმე ფაკტია, რომ მთავრობამაც იცის და სასამართლომაც. კანონიერ მოთხოვნილებას კი მე დადგენილის ტაქციით ვასრულებ, სადაც არას გზით არ შეიძლება, რომ მეტი ავიღო იმ ფიქრით მაინც, რომ იქნება ამან ამავე რეცეპტით მეორე აფთიაქში მოიკითხოს წამლები.

იმ ნიშნებზე, რომელსაც ბატ. კორრესპონდენტი იხსენიებს, მე მოგახსენებთ, რომ აგერ 18 წლის სამსახურის შემდეგ პირველად მესმის ეს ამ გვარი ნიშნები, და რომ კიდეც მცოდნოდა, საქვეყნოთ არ გამოვაცხადებდი ამას, დიდი საიდუმლო იქნებოდა. ალბათ კორრესპონდენტს თვით თავისთვის გამოუხატავს ეს ნიშნები მომავალი თავის აფთიაქისათვის.

შემდეგ კორრესპონდენტი ბრძანებს, რომ მე ხშირად ვარ მთვრალი. დამისახელოს კორრესპონდენტმა, ვინ მნახა მე, რომ მთვრალი ვყოფილვიყო აფთიაქში.

რაც შეეხება ჩემი ცოლის მუშაობას აფთიაქში, ეს სულაც არ არის აკრძალული, მით უმეტეს, რომ ის მხოლოდ კასსასთან ზის საანგარიშოთ, და და ისიც მაშინ, როდესაც მე არა მცალიან, ლაბორატორიაში ვარ, და როდესაც ჩემთან მსახურებდა ერთი მოწაფე, რომლის მოქმედებაზედაც მე გწერთ ქვემოთ.

ამასთანვე მე ნებას ვაძლევ ყველას დარწმუნდეს ჩემ სიმართლეში, როდესაც ისურვებს და როგორც: საათფთიაქო ტაქცია გამოცემული შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ყოველ აფთიაქში არის.

რაც შეეხება რევიზიას, იმედი მაქვს, ის კარგათ დააფასებს სიმართლეს ჩემი აფთიაქის საქმეებისას, როგორ წასრული რევიზიის დროს.

ეჭვი არა მაქვს, რომ მთელი ეს გამოგონილი კორრესპონდენცია ან თვითონ ბატ. ი. ა. არის, რომელიც ჩემთან მსახურებდა და ქურდობისათვის გავაგდე და ან მისივე ჩაგონებით არის დაწერილი. იმის ქურდობას იმით ვამტკიცებ, რომ ტფილისში ბატ. ვ. აფთიაქში მსახურების დროს იმას მოეპარა რაღაც ნივთები, რომლებიც მე ჩამოვართვი და კუთვნილებისამებრ გავგზავნე. ალბათ სამაგიეროთ ამ ბატონმა, თუ თითონ არა, სხვის საშუალებით გამოიგონა ამ გვარი სიცრუვე. მ. მასკოვსკი.

ახალ-სენაკი,

18 ენკენისთვეს 1882 წ.

## დღესასწაული 50 წლის იუბილეისა მღვდლობის და ბლაღოჩინობის თანამდებობაში.

(წერილი რედაქციაში)

26 აგვისტოს 1881 წელსა, სამღვდელოებამ ახალციხის და ახალქალაქის მაზრისამ, საქართველოს ეგზარხოსის იოანიკის ნება-რთვით, იდღესასწაულა ორმოც და ათის წლის იუბელიონი თვისის ბლაღოჩინის დეკანოზის გიორგი გამრეკელისა.

შემდეგ კურსის შესრულებისა, უწარჩინებულ მოწაფეთა რიცხვში, ტფილისის სასულიერო სემინარიაში გამრეკელი იქმნა დანიშნული გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორათ, სადაც რამდენიმე წელიწადი გაატარა თავის თანამდებობა სამაგალითოთ. შემდეგ იყო ხელ-დასხმულ მღვდლათ და დანიშნულ ბლაღოჩინათაც ახალციხის და ახალქალაქის მაზრების სამღვდელოებაზედ. თანამდებობას ბლაღოჩინობაში ატარებდა შესანიშნავათ მშვენივრათ და დაიმსახურა კიდეც საზოგადო სიყვარული: როგორც სამღდელოების და მართლ-მადიდებელ ერთაგან, ისე სხვა-და-სხვა სარწმუნოების, ჩამომავლობის და წოდების ერთაგანაც.

პატივ-ცემულ იუბელიონს სამღდელონი უწოდენ გვირგვინათ სამღვდელოთა, რისთვისაც მიართვეს ბრილიანტის ჯვარი გვირგვინით, მართლ-მადიდებელნი უწოდებენ, მეტის სიყვარულით, ბატონათ და პატრონათ; მაჰმადიანი—მამათ; სომეხნი და ფრანგნი—მნათობათ სამცხე-საათაბაგოს და ჯავახეთის.

ჭეშმარიტათ პატივცემული დეკანოზი შეიქმნა მნათობათ სამცხე-სასათაბაგოს და ჯავახეთის. მის მეცადინეობით და ქადაგებით მრავალთ ურიათა, მაჰმადიანთა, დაუხაბორთა, სომეხთა და ფრანგთა მიიღეს მართლ-მადიდებელთა სარწმუნოება; მრავალნი დანგრეულნი ეკკლესიანი და ახალნიც აღაშენეს ამისვე მეცადინაობით.

მამა დეკანოზის მეცადინაობითვე ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ რამდენსამე სოფელში გახსნა სკოლები, სადაც აღიზარდენ და აწა იზდებიან ათასამდინ ახალგაზდანი.

ერთ დროს მამა დეკანოზი გადაყვანილ იქმნა ახალციხიდან ქუთაისის სობოროს პირველ დეკანოზათ და დანიშნულ ქუთაისის გიმნაზიის უფროს სამღვთო სჯულის მასწავლებლათ. ახალ ალაგზედაც თავის გამოცდილობით, სწავლით და მეცადინეობით შეიქმნა ყველასაგან პატივსაცემი და საყვარელი. მესხთა და ჯავახთა ვერ გასძლეს უიმისოთ და რამდონჯერმე სთხოვეს გადმოსულიყო ისევ მათთან და ბოლოს თვით იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს სთხოვეს, ჩვენი ბატონი ის ისევ ჩვენ გამოგვიგზავნეთო. თუმც ქუთაისში უფრო დიდი ალაგი ეჭირა, მაგრამ ისევ დათანხმდა და გადმოვიდა და აქამომდინ ატარებს თავის პირველ ალაგს, შეყვარებული და პატივ-ცემული ყველასაგან, მოხუცი თავის ცხოვრებას შრომაში და მოღვაწეობაში ეკკლესიის და ხალხის გასაუმჯობესებლად.

სამღვდელოება 25-ს შეიკრიბა ახალციხეს. პატივის-მცემელნი მრავალნი იყვნენ გლეხთაგანიც, თუმცა გაცხარებული მუშაობის დღე იყო. პატივის-მცემელთ ამშვენებდენ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა და ვიკარნი საქართველოისა და აფხაზეთის, ბლაღოჩინი დეკანოზი დავით მაჭავარიანი ორნივ ნამოწაფარნი იუბილიონისა გორის სას. სასწ.

თვით დღესასწაულ დღეს დაიწყო სამღვთო ლიტურღია 10 საათზედ დილით. მწირველი ბრძანდებოდა ეპისკოპოსი ალექსანდრე სამი დეკანოზით და ხუთი მღვდლით, ამათ რიცხვში თვით მოხუციც.

წირვის შემდეგ და პარაკლისის წინ უთხრა დეკანოზს მოკლე მშვენიერი შესხმა ახალციხის წმ. მარინის ეკკ. მღ. მ. ჟამუტოვმა, რომელმაც გამოხატა მისი სამსახური ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში. შემდეგ ამისა თვით დეკანოზმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მადლობას უხდიდა ეპისკოპოსს და სამღვდელოებას და მადლობდა ღმერთსა, რომელმანც ღირს

---

გახლდათ: „თამარ ბატონიშვილი“, „შემოსავლიანი ადგილი“, „რევიზორი“, „ხათაბალა“, „პარიჟელი კინტო“, „ორ ცეცხლ შუა“, „მაჭანკალი“ და სხვა... სახალხო პიესებთაგანი „ქოროღლი“. არც ერთს ამ პიესებთაგანს ისე არ გაუვლიათ, რომ საზოგადოება აღტაცებაში არ მოეყვანა, არც ერთს კაცს არ უთქვამს ამ წარმოდგენებზედ რომ აქტიორები თავიანთ როლებს უსვინიდისოთ მოჰქცევიან. ახლა რამდენმა წვრილმა, განსაკუთრებით თითო მოთამაშეს ხასიათისათვის გადმოკეთებულმა და დაწერილმა პიესებმა მოიყვანეს აღტაცებაში ჩვენი საზოგადოება? აიღეთ: „დროებით სიყვარული“, „ადვოკატების“ პირველი მოქმედება, „ბიძიასთან გამოხუმრება“, „პარიკმახერისას“, „საძაგელი“, „მათიკოს“ მესამე მოქმედება.

ამის შემდეგ, იმისთანა ცილის-წამებასა ჰბედავს ვილაცა „ქართული თეატრის მოყვარეები“ არიან, როგორც ჩვენი აქტიორებისაგან თავიანთ მოვალეობის უსვინიდისოთ მოკიდებას! ესმისთ ამ პატივ-საცემს პირებს, რომ შედარებით, არც ერთს სცენაზედ არა მზადდება იმდენი ახალი პიესები, რამდენიც ჩვენს სცენაზედ და, მაშინ როდესაც იქ მოთამაშენი ერთი-ათად რიცხვით ეჭარბებიან ჩვენს აქტიორებს.

ახლა შევხედოთ იმას, მართლა საზოგადოება გულ-გრილათ ეკიდება თეატრის საქმეს, თუ არა. აქ ჩვენ მოვიყვანთ უკანასკნელ ანგარიშს, რომელიც იყო წარდგენილი დრამატიულ საზოგადოების წინაშე ბატ. რეჟისორის ა. ლორთქიფანიძისაგან. აღმოჩნდა, რომ თეატრს, სამი თვის განმავლობაში, შემოსავალი ჰქონდა 8,025 მან. (შეცდომა არ გეგონოსთ, რვა ათას ოც-და-ხუთი მანეთი გახლავს) და კიდევ ამ სამი თვის განმავლობაში, ექვსი კვირა წარმოდგენები არ ყოფილა გლოვის გამო. მართალია, ამ ფულში 1,000 მან. ბანკიდგან იყო შემოწირული, მაგრამ 7,025 მანეთი ხომ წარმოდგენებიდგან იყო აღებული?

ამის შემდეგ განა ვისმე შეუძლიან სთქვას, რომ საზოგადოება გულ-გრილათ ეკიდება თეატრის საქმეს? განა ამის თქმა ცილის-წამება არ იქნება და უსვინიდისო ცილის-წამება?

ახლა რომ აგიხსნათ საიდგან შესდგა ეს 7,025 მანეთი, ისე ცოტა ხანში, როგორც ექვსი კვირა არის, უნდა მოგახსენოთ, რომ სხვათა შორის 14 წარმოდგენა გახლდათ ქუთაისში, ოთხი ბენეფისი: გაბუნიასი, ციფიანისა, მოხევისა და ხეიძისა, როდესაც თეატრი გამსებული იყო და კიდევ რამდენიმე წარმოდგენა.

რასაკვირველია ამ ფაკტების შემდეგ პირველი კითხვა იბადება: თუ მაგდენი ფული იყო, მაშ რაზედ დაიხარჯა? დიახ ეს საგანი გახლავსთ საკითხავი და ამ საგანზედ კიდეც ღირსს ლაპარაკი და გ. „ქართული თეატრის მოყვარესაც“ რომ აქედგან დაეწყო, ვგონებ ის ეჯობინებოდა, სანამ ალთა-ბალთა ხტუნაობა. ეს მხარე ჩვენი თეატრისა საინტერესოც არის და კიდეც ეჭირება იმას განხილვა, რადგანაც თავის დაარსებიდგან დღევანდლამდისინ ისეთი რიგის მიმცემი ვერავინ შეხვდა, რომელმაც შეიძლოს ხარჯი თავის დონზედ დააყენოს.

რადგანაც ეს სტატია მეტათ გაგძელდა, ამის გამო ამაზედ საუბარი იძულებული ვართ შემდეგისათვის გადავდოთ და ახლა-კი გავათავო იმ იმ იმედით, რომ ჩვენი თეატრი ისეთს მაგარ საძირკველზედ არის აშენებული, ისეთი მაგარი ბურჯები უდგას, რომ იმისი კეთილ-დღეობა, ყველა იმისთვის გამოაშკარავებულია, ვინც ძალათ თვალების დახუჭვას არ მოინდომებს; ეს საძირკველი, ეს ბურჯები არის ხალხის მოთხოვნილება, რომელმაც დაინახა, გაიგო და მაგრა ხელი მოჰკიდა თავის საჭიროების, მოთხოვნილების აღმასრულებელ საგანს. ქართული საქმის თეატრის შეყენება კიდევ შეიძლება, მაგრამ ძირიანათ ამოგდება, სამუდამოთ ამოფხვრა-კი აღარა.

თვალი ვისაცა აქვს-დაინახოს, სმენა-გაიგონოს.

ა. მოხსუბარიძე.

ჰყო იგი ამ დღესასწაულის დასწრება. შემდეგ პარაკლისისა ეპ. ალექსანდრემ მიულოცა ეგზარხოსის მაგიერ და გარდასცა ხატი ვლადიმირის ღვთის-მშობლისა წარმოგზავნილი ეგზარხოსისგანვე. ამის შემდეგ თვით უთხრა ფრიად მშვენიერი შესხმა და მიუძღვნა ივერიის ღვთის-მშობლის ხატი შეჭედილი ვერცხლითა. აღტაცებულმა მოხუცმა ცრემლით მადლობა გარდუხადა და ევედრა ღმერთს მისს ქვეშევრდომ სამღვდელოებას და ქრისტიანების კეთილ-დღეობისთვის. სამღვდელოებამ მიართო ბრილიანტის ჯვარი თავის ძეწკვით გულზედ სატარებლათ.

სობოროდან წავიდენ იუბილიარის სახლში, სადაც მომზადებული იყო სადილი. სახლში მოვიდა ახალციხის ფრანგების სამღვდელოება მოსალოცათ. სადილზედ უთხრა სიტყვა ვრცლათ დეკ. მაჭავარიანმა, რომელმაც ცხადათ გამოუხატა—თუ რა გავლენა ჰქონდა მას ბორის სას. სასწავლებელში და როგორ წარმატებაში წაიყვანა ეს სასწავლებელი ბამრეკელმა. ამავე სადილზედ იყო ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მ. მარტირი, რომელსაც გამოჰკითხა ეპ. ალექსანდრემ მონასტრის მდგომარეობა და როდესაც შეიტყო მისი გაჭირება, შესწირა ათი თუმანი.

მთელი ეს დღე და მეორეც ყოველ საქართველოს კუთხიდან ტელეგრამები მოდიოდა ასე, რო სამოცზედ მეტი ტელეგრამა იყო და ორასამდინ მომლოცავნი.

ესე სასიხარულოთ გაატარეს სამცხე-საათაბაგოს და ჯავახეთის სამღვდელოებამ 50-ს წლის დღესასწაული თავიანთ ბლაღ. ბამრეკელის. ეს დღე სახსოვრათაც იქნება მათთვის დიდხანს... დაე შეშურდეთ, და მიმბაძავ იყნენ სხვინიც.

პატერი.

ახალციხე, 5 სეკტემბერს.

# განცხადებანი

კავკასიის პრიკაზი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ სექტემბრის 22 ს პრიკაზის კასსიდამ შეცდომით მიეცა ვიღაცას, 200 მანეთის ბილეთის მაგიერად, რომელიც ამ დღეს შემოიტანა უცნობმა პირმა, ბილეთი, № 524, 19 მარტის 1881 წლისა, 2,000 მანეთის ღირსებისა ამ ბილეთზე აწერია სახელი ანასტასია ჯინჯარაძისა ბლანკის წარწერით. ამ ბილეთით ჯინჯარაძისამ იმავ დღეს მიიღო ნახევარ წლის სარგებელი იმ განზრახვით, რომ ხსენებული ბილითი არავინ მიიღოს ბეით, ან არვინ იყიდოს, და, თუ ვისმე ჩაუვარდა ხელში, ვალდებულია პრიკაზში წარმოადგინოს. (3—1)

---

**შეშა** იყიდება იაფათ, კუკიის ხიდის ყურზედ, ნაბერეჟნის ქუჩაში. აბრამ. (5—1)

---

იმ მოწაფეთა შორის, რომელნიც იყვნენ თბილისის გიმნაზიაში, ამ ჟამად, გიმნაზიის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობის გამო, აღიძრა აზრი მიეგებნენ ამ დღესასწაულს საამხანაგო სადილით, რომელიც დანიშნულია 29 ენკენისთვისათვის შუა დღის სამ საათზედ. სადილი (ქართულ საჭმლებისაგან შემდგარი) მუსიკით ეღირება ხუთი მან. თუ სად გაიმართება სადილი, ამაზედ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბილეთი ამ სადილისა (5 მან. გადახდით) მიიღება მუდამ დღე გიმნაზიის შვეიცართან 9 საათიდამ დილისა 1 საათამდე. 27 ენკენისთვიდამ ბილეთები აღარ გაიცემა.

თ. დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძე,
ვასილ გრიგორის-ძე სარაჯიშვილი,
ივანე იაგორის-ძე ამირაგოვი,
ლევ ლევის-ძე მარკოვი,
თ. იგნატე გიორგის-ძე თუმანიშვილი,
თ. ილია გრიგორის-ძე ჭავჭავაძე,
გრიგ. ნიკოლოზის-ძე ბექხანოვი,
მიხეილ პეტრეს-ძე ისარლოვი,
კონსტანტ. მიხეილ.-ძე პოლუბანსკი.

(3—2)

---

# იყიდება

ბექანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით.

მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—3)

---

### დოქტორი ბახუტოვი

გადავიდა სალოვის (ბალის) ქუჩაზე, სოლოლაკზე, აფენდიევის სახლებში, № 56.

ავათმყოფებს—ქალებს და ყმაწვილებს—მიიღებს იმავე წესით, როგორც ადრე იღებდა ხოლმე. (5—3)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—20)

---

# ვექილი ლებედინსკი

გადავიდა საპიორის ქუჩაზედ ბაბანასოვის სახ. სამხედრო გიმნაზიის პირდაპირ. იღებს სასამართლო საქმეებს. (3—1)

---

### ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—42)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამომყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—33)

---

# იყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგილს ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვაზები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—12)

---

თფილისის სავაჟო I გიმნაზიის პედაგოგიური რჩევა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ენკენისთვის 27-ს იქნება ამ გიმნაზიის 50 წლის არსებობის დღესასწაული (იუბილეი) და ამის გამო სთხოვს ყველა ამ გიმნაზიის ადრინდელ შაგირდებსა და აგრეთვე ყველას, ვინც განათლების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდეს დღესასწაულზე.

იმავე დღეს გიმნაზიის საქტო ზალაში გამართული იქნება ასი კაცისათვის სადილი ცალკე დაპატიჟებით.

28 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, გიმნაზიაში გამართული იქნება საყმაწვილო საღამო, რომელზედაც შაგირდების მშობლები და ნათესავები იქნებიან დაპატიჟებულნი.

(5—4)

---

### ამერიკელი კბილის ექიმი დოქტორი ი. ა. ვალტერი

რომელიც დიდის მთავრის დუნაიის—იქით არმიის მთავრისა განკარგულებით დანიშნული ვიყავი კბილის ავათმყოფობის კონსულტანტათ და მივიღე ორი წარჩინებული დიპლომი, მოვსულვარ თბილისში და ვიღებ კბილით ავათმყოფებს კბილების ჩასასმელად რბილ საგებზე უპრუჟინოთ. რომელსაც არა ვრაცხ გამოსადეგრათ ვინაიდგან პრუჟინა უძლის რიგიანათ საჭმლის დაღეჭვას.

ჩემი ექიმობის მეტოდას ხმარობენ კბილის ექიმები მთელ რუსეთში მარტო პეტერბურღში; და მოსკოვში და არა სადმე პროვინციაში არავის ვურჩევ იხმარონ ჩანგლებიანი კბილები, მისთვის რომ ჩანგლები და კავშირები სცვეთავენ კბილებს, რაიცა უეჭველია, მენიშნული ექნებათ იმათ, ვისაც ისინი უხმარია.

კბილების მოგლეჯას არ ურჩევ. ამისთვის რომ კბილების მოგლეჯა თუ გინდ ერთისაც ცუდათ მოქმედობს სხვა კბილებზე. ამისთვის სჯობს კბილის ოქროსი, პლატინისსი ანუ მილანქრის პლომბით გაკეთება მაქვს ახალი ჩემგან მოგონილი საშუალება რომელითაც შეიძლება დაიცვას კბილები წახდენისაგან და ტკივილისაგანაც. ეს საშვალება არის დამტკიცებული მედიცინის დეპარტამენტისაგან.

ნიმუშები: ახლად აღმოჩენილი შეზავებულ კბილებისა და პლომბიროვკები შეუძლიათ ნახონ ჩემს კაბინეტში. ყოველს საქმეს შესახებ კბილების ავათმყოფობისა ვასრულებ 24 საათში:

ვიღებ ავათმყოფებს დილის ათი საათიდგან საღამოს ექვს საათამდის. ვცხოვრებ გალავინსკის პროსპექტზედ მიროევის სახლებში სადაც იმყოფება ვესტლის ფოტოგრაფია ბ მირზოევის სახლში სადაც იყო კარტინის ვისტავკა შესავალი გალავანსკის პროსპექტიდამ. (5—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი